საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია № 303 1918 წ. კვირა, აგვისტოს 11. № 303

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

დასავლეთის ფრონტზე დიდი ბრძოლაა. ფრანგებს 14 ათასი გერმანელი წაუყვანიათ ტყვედ. ბაქოდან თათრებს ბალაჯარისაკენ დაუხევიათ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

გულ დათუთქული მამიდა თუშ-იბრამოვისა საზოგადოებას აუწყებს ქმარშვილით საყვარელი ძმისწულის

ვასო ივანეს ძე პატარქალიშვილის

უეცრად გარდაცვალებას პანაშვიდი იქნება გადახდილი ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში კვირას, აგვისტოს 11-ს, საღამოს 7 საათზე. 850

თვალცრემლიანი მამა ესტატე, ძმები თედორე და ნიკალა დეკანოსიძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, აგვისტოს 11-ს გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგული მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის

ერმილე ესტატეს ძე დეკანოსიძის

სულის მოსახსენებლად. სოფ. ღარიხევში (სად. ბელაგორი) წმ. გიორგის ეკლესიაში. 847

ხონის სასულიერო სემინარიის საპედაგოგიო საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ აგვისტოს 8-ს გარდაიცვალა დასახელებული სასწავლებლის დამსახურებული მუშაკი—ეკონომოსი და საქმის მწარმოებელი

ვასილი პავლეს ძე თარგამაძე

დაკრძალვა დანიშნულია დღეს, აგვისტოს 11-ს, ქ. ხონში. 743

ღრმად შეწუხებული ესტატე აბალიშვილი თავის მეუღლე ვერათი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ აგვისტოს 4-ს, სოფ. პატარა-თამარაშენში გარდაიცვალა დაუვიწყარი დეიდა

თამარ (თალიკო) ესტატეს ასული ფალავანდიშვილი

პანაშვიდი დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში შუადღის 12 ნახ. საათზე. 845

ღრმად დამწუხარებულნი ეკატერინე ესტატეს ასული აბალიშვილისა შვილებით: ივანე, ქრისტეფორე, ელენე, სამსონ, ესტატე და იოსებ. რძლებით—სოფი, ბარბარე, ვერა, და თამარ აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ აგვისტოს 4-ს, სოფ. პატარა-თამარაშენში გარდაიცვალა პირველის და და დანარჩენების დეიდა

თამარ (თალიკო) ესტ. ტეს ასული ფალავანდიშვილი

წირვა (10 ს.) და პანაშვიდი (12 ნახ.) გადახდილ იქმნება დღეს, ქვაშვეთის ეკლესიაში. 844

ღრმად დამწუხარებულნი: შვილები ალექსანდრე, ნიკოლოზი, მიხეილ ბადაშვილები, ნინო გიორგის ასული მაჩაბლიშვილი, ბარბარე გიორგის ასული სადუნაშვილი; სიძეები: პავლე მაჩაბლიშვილი და ივანე სადუნაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ უეცრად გარდაიცვალა ძვირფასი

ელენე ივანეს ასული ბადაშვილისა

პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს, საღამოს 6 ნახ. საათზე, განსვენება მოხდება ორშაბათს, აგვისტოს 11-ს, დილის 9 საათზე კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში და დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება მიცვალებულის სახლიდან ახალციხის ქუჩა № 15. 846

მეორე ქართული კლუბი

„ახალი საკრებულო“ მიხეილის პროსპექტი № 129.

კვირას აგვისტოს 11.

სინემატოგრაფი მუსიკა და ცეკვა

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. 1289

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კეთილმოწყობილი საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

1918 წ. დღეს, აგვისტოს 11-ს გაიმართება

დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა

რომელიც შესდგება 20 ნომრისაგან. გამოსვლა სახელგანთქმულ იაპონელთა კაპელლისა. დღეს გამოვა ოლიცუ ზუნა, იკაროული გასართობები. მონაწილეობს აგრეთვე სლისტუშინსკი. უკანასკნელი გასტროლი ველიკოროსთა კაპელლისა, მონაწილეობს მთელი დასი. მუსიკა უკრავს 7 საათიდან წარმოდგენა 8-დან.

848 მთავარი ადმინისტრატორი ვ. ელიზაროვი.

ქართული კლუბი

კვირას, 1918 წ. აგვისტოს 11-ს გაიმართება

კონცერტი

ქართული ხოროსი მ. კავსაძის ლოტბარობით. კონცერტზე შესვლა უფასოა კლუბში საზოგადო წესით. დასაწყისი სალ. 8 საათზე.

ტფილისის კონსერვატორია

მისაღები გამოცდები დაიწყება 10 სექტემბრიდან. თხოვნები მიიღება კონსერვატორიის კანცელარიაში (გრიბოედოვის ქ. № 8) ორშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 11—1 საათამდე. სწავლის ფასი სიმღერის კლასებში 350 მან. წელიწადში დანარჩენ კლასებში 300 მან. სწავლის ფასი გადახდებად ნახევარის წლობით.

სწავლა დაიწყება სექტემბრის 20. 847

ტფილისი, აგვისტოს 11

სასურსათო სამინისტრო

ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში რა დარგის რა ცვლილება არ მოხდა ბოლო დროს. სასურსათო საქმის ორგანიზაციაც სავსებით განიცდიდა საერთო სახელმწიფოებრივ ცვლილებებს, იყო დრო, როცა ქვეყნის ხსნას კოოპერატივებიდან მოველოდით და ძალზედაც გავამრავლეთ იგი, შემდეგ გული ავიცრუეთ კოოპერაციაზე და სასურსათო ორგანიზაციები შევქმენით დიდი ჯამაგირებით. მომავალში უფრო კარგად დავინახავთ, თუ რა ზარალი მოგვიტანა სასურსათო ორგანიზაციების უხამსმა წყობილებამ, როგორც ქონებრივად ისე იდეურად. თვით კოოპერაციას მეტოქეს სახით მოევლინა სასურსათო კომიტეტები და ლამის იყო მოესპო იგი საბოლოოდ.

მაგრამ დღეს უკვე მოსპობილია სასურსათო კომიტეტები ყველა სიხარულით შეხვდა ამ ამბავს, თითქოს სული მოითქვა ხალხმა, დიდი ჯამაგირები ხაზინის სალაროში დარჩა გაუფლანგველად. ყველა აშკარად ამბობდა—რაკი კერძო თაოსნობა იქნება, სურსათის საქმეც მოგვარდება.

ჩვენ არ შეგვიძლიან ეხლავე არ აღვნიშნოთ, რომ ხსნა არც თავისუფალ აღებ-მიცემობაშია და არც სასტიკ რეგლამენტარიზმში. ხალხის ნაოფლარი განიავდება, სიმშილით დავიხოცებით იმ დროს, როცა ბეღლებში პური დაგვილპება, თუ თვით დაინტერესებული უწყება თავის სიმაღლეზე არა სდგას, თუ სურსათის საქმეს არ თაოსნობს ხალხისათვის ღრმად დაინტერესებული ენერგიული სახელმწიფო მოღვაწე.

დღეს ცხადია ერთი რამ: ქართლში, კახეთში, ყველგან დიდძალი ხორბალია. ამავე დროს ორიოდე ქალაქი გვაქვს და ლამის არის სიმშილით ამოვხოცოთ მცხოვრებნი. არ არსებობს არავითარი გარკვეული გეზი, არ არის იმედი როდის რა იქნება, თუმცა გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, რომ სულ მოკლე ვადაში ჩვენს ქალაქებში შემოვა იაფი პური. ხალხს აღარ სჯერა არავისი, დიდი და პატარა გარბის სოფელში და თვითონ ეზიდება პურს რის გამო ყოვლად უმსგავს ხასიათს იღებს მეტოქეობა, ფასების ზრდა და სხ.

ჩვენ ვიცნობთ სასურსათო სამინისტროს, მაგრამ მის შესახებ ერთი რამ შეიძლება ვსთქვათ: სამინისტროს მოხელეთა დიდი უმეტესობა ჩვენი ხალხის საზარალოდ უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე სასარგებლოს. საბოტაჟნიკი და ჩვენი რესპუბლიკის მოძულეები ეხლაც თარეშობენ სამინისტროში, ამას ძალიან კარგად გრძნობს თვით მინისტრიც, რომლის ბრძანებასაც უყურადღებოთ სტოვებენ მოხელენი, მაგრამ მას ისიც ვერ მოუხერხებიას რომ გაბედული ნაბიჯი გადადგას, სამინისტროს მინისტრის პოლიტიკა აგრძნობინოს და ცხოვრებაში გაატაროს ის ნაციონალიზაცია, რომელიც ტარდება ყველა დარგში.

კოოპერაციის და სასურსათო ორგანიზაციის ნაციონალიზაციას ჩვენ ვქადაგებდით დიდი ხანია, ეხლა ხომ ყველა მოღვაწე განიცდის მის აუცილებლობას, ვინაიდან თუ დღევანდელი შემადგენლობა დარჩა სამინისტროში, კავშირებში და ანოლოგიურ უწყებებში, ვიტყვით: არავითარი გონივრული სისტემა ნაყოფს არ მოგვიტანს, გაჭირვებას გაჭირვება მიემატება და გართულდება საქართველოს კრიზისიც.

საქართველოს რესპუბლიკაში სასურსათო სამინისტრო უსიტყვოთ უნდა იცავდეს საქართველოს ინტერესებს. მაგრამ სამინისტროს სამართველოებისათვის ეს უაღრესი ინტერესი არ არსებობს, კვიეტიზმი, ფორმალიზმი, შოვინიზმი, განზრახ ხელის შეშლა ჩვენი სოფლელებისათვის პრინციპად არის დასახული იმ სამინისტროში, რომლის წარმომადგენლები არხეინად გრძნობენ თავს ეროვნულ საბჭოს სავარძლებში.

სამინისტრომ ბოლო უნდა მოუღოს გარეშე პირთა ვაკხანალიას სურსათის საქმეში. ჩვენი სურსათის საქმე უნდა ჩავაბაროთ ჩვენებს, რომელნიც არ დასცინიან ჩვენს რესპუბლიკას, არამედ უნდათ მისი სიცოცხლე და აყვავება. დროა, დრო ენერგიული სიტყვა ითქვას ამ დარგში, თორემ სურსათის საქმის მოგვარებას ვერ მოვესწრებით.

მიწის საკითხის გამო

ჩვენს პარტიებსა და საზოგადოებაში თითქმის გაბატონებულია აზრი, რომ უდიდესი საკითხი თანამედროვე რევოლიუციისა—მიწის საკითხია. ამის გარშემო ტრიალებდა პოლიტიკურ ჯგუფების მუშაობა სოფლად. სწორედ ამ სფეროში ვაძლევდით ხალხს ათასგვარ დაპირებებს და საუცხოო პერსპექტივებს ვუხატავდით. ეს იყო შარშან, როცა რევოლიუცია დუღილსა და ღელვაში იყო. წელს ყველა თამასუქის განაღდების ჟამი დაგვიდგა. დრო, როცა ხორცი უნდა შეისხას წინად ნათქვამმა და დანაპირებმა. შარშანდელი წელიწადი იყო წელიწადი ლაპარაკის და იმედებისა. წლევანდელი-მოქმედებას და გამუდმებულ ბრძოლა-მუშაობისა.

ანარქია, ასეთს დიდს საფრთხეს რომ უმზადებს საქართველოს რესპუბლიკას და შეიძლება დაჰღუპოს კიდეცო, ზოგიერთების აზრით მიწის საკითხის გადაუჭრელობით აიხსნება. ეს აზრი არაა სავსებით მართალი, რის წაღებაც კი შეიძლებოდა, რაც უნდა მიელო გლეხობას მან საკუთარისავე ძალით, ანარქისტულად მიითვისა. განა დარჩა სადმე ადგილი, სადაც გლეხობას თითქმის მთელი მიწები ხელთ არ ეგდოს? მან სავსებით დაიკმაყოფილა თავისი მადა ამ მხრით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ანარქიის მიზეზი ერთის მხრით მართლაც მიწის საკითხია. გლეხობას სრულიად არ მოეპოება რწმენა რევოლიუციის ხვალინდელ დღისა და მისი შეუგნებელი ნაწილი ნოტარიუსით დამტკიცებულს ამჯობინებს ყოველგვარ რევოლიუციით მონაპოვარს. ამიტომ აუცილებლად ეხლავე უნდა იქმნეს მიღებული ზომები მიწის საკითხი ასე თუ ისე უეჭველად მოკლე ხანში მოგვარდეს.

სოციალ-დემოკრატებში უკვე ტრიალებს აზრი, რომ გლეხობას მიწა კერძო საკუთრებად უნდა მიეყიდოს. ნაციონალ-დემოკრატების აზრი ვიცით. სოციალ-დემოკრატების აზრს დღევანდელ მომენტისათვის მრავალი გასამართლებელი საბუთი აქვს, მაგრამ საბოლოოდ, მომავლისათვის, მაინც ყოვლად მიუღებელია. მე მინდა ამ საკითხს გაკვრით შევეხო ეროვნულ პოლიტიკური თვალსაზრისით და აღვნიშნო, რომ დიდი საფრთხე მოგველის, თუ საკითხი იმნაირად გადაწყდა, რაგვარადაც სოციალ-დემოკრატია ჰფიქრობს.

ჩვენ ვიცით, თუ რა მწვავედ იდგა საქართველოს წინაშე ტერიტორიის საკითხი ამ რამდენიმე წლის წინად. ისტორიული ჩარხის ტრიალი ცვალებადია და ტერიტორიის საკითხის უყურადღებოდ მიტოვება სახელმწიფოს შექმნის შემდეგაც არ გვეპატიება. ჩვენ ვიცით, რომ ხელოვნური გადმოსახლებით რამდენიმე მაზრა დავკარგეთ და ქართველობის ჭაჭანიც აღარ იყო ბოლო ხანებში იქ, სადაც ოდესღაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრება სდუღდა და კადმოდიოდა. დღესაც ამ მხრით ჩვენ უდიდეს საფრთხის წინაშე ვდგევართ. თითქმის ნახევარი მილიონი ლტოლვილი შემოესია საქართველოს და ჰლამობს მის ტერიტორიაზე სამუდამოდ დაბინავებას. ჩვენ ვიცით, თუ რა საფრთხეს წარმოადგენენ და რაგვარ პროვოკაციას, საზიზღარ ბრძოლას ეწევიან ლტოლვილები და მათი ხელმძღვანელები საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ეს ის ხალხია, რომელიც ყოველ სახელმწიფოში მგელივით ტყისკენ იყურება და ძირს უთხრის სახელმწიფოებრიობას. მათი ჩვენში საბოლოოდ დარჩენა საეკონომიო თვალსაზრისიც რომ უკუვაგდოთ, დიდ პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენს ახლად ფეხ-ადგმულ რესპუბლიკისათვის. და თუ ჩვენში მიწის ყიდვა-გაყიდვა დაკანონდა, როგორც სოც.-დემ. ფიქრობენ, საშინელება იქნება: **საქართველოს საუკეთესო ნაწილები და ადგილები გარეშე ძალას დარჩება,** რომელიც თავის პოლიტიკურ მიზნებისათვის ამას ადვილად ჩაიდენს და ფულსაც იშოვნის.

სომხის ლტოლვილების აქ სამუდამოდ დასახლება რომ ჰსურთ—ეს აშკარაა. ყველამ უწყის, თუ რა საზიზღარ ბრძოლას ეწეოდნენ დაშნაკელები საქართველოს წინააღმდეგ. ეხლა ფრონტი იცვალეს და თავის მოკატუნებით უქებენ თავის მკითხველებს ჩვენს რესპუბლიკას. ეს პოლიტიკური გეზის მართლაც შეცვლაა და სომხის ხელმძღვანელებს, აშკარაა, გადაწყვეტილება აქვთ ეს ამოდენა ლტოლვილი ხალხი საქართველოს ტერიტორიაზე დასტოვოს **პოლიტიკური მიზნებისათვის.** ამას გულახდილად ამბობდნენ ერთ-ერთ თათბირზე სომხის ზოგიერთი წარმომადგენელი და ურჩევდნენ: საქართველოდან არსად წახვიდეთო. დღეს სომხის შოვინისტები ამტკიცებენ, რომ ტფილისი და თითქოს კახეთიც სომხურია წარმოშობითაო, და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ხვალ ისინი მთელ საქართველოზე იტყვიან ამასვე და რეალურ ძალასაც მიაშველებენ თავიანთ სიტყვას.

მიწის საკითხის გადაწყვეტის დროს უეჭველად ეს ეროვნულ-პოლიტიკური მომენტი უნდა მივიღოთ მხედველობაში მიწის მფლობელობის სხვა და სხვა ფორმაზე შეიძლება შევთანხმდეთ, **მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ. შეიძლება ყიდვა-გაყიდვის დატოვება** ეს უნდა შეიგნოს ყველა იმ პარტიამ, ვისაც ჩვენი მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრება სწადს. მალე, ძლიერ სწრაფად უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მისი გადაწყვეტა რამდენისამე ათეული წლით და საუკუნითაც საზღვრავს იმ გზას, რომლითაც საქართველომ უნდა იაროს. ამიტომ გვმართებს ქართული ანდაზის მოგონება: ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი.

ქ. რაჭველიშვილი.

მთავრობაში

მთავრობის დადგენილებით, გარეშე საქმეთა სამინისტროს დაევალა მოაწესრიგოს გერმანიასა და საქართველოს შორის საფოსტო დამოკიდებულება.

კომპოზიტორი დ. არაყიშვილს მთავრობის დავალებით იგზავნება მოსკოვს, რუსეთის სამუსიკო სკოლების კონსტრუქციის შესასწავლად.

—

საექიმო სასანიტარო საქმის უფროსმა მ. ზანდუკელმა, შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინა მოხსენება, სადაც იგი სთხოვს, მთავრობასთან შუამდგომლობას 1 მილიონ მანეთის გადადების შესახებ, ეპიდემიასთან საბრძოლველად და საავადმყოფოთა დასაარსებლად.

—

აგვისტოს 9-ს სხდომაზე მთავრობამ უარჰყო რუსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა რუს-ლტოლვილითა გადამყვან მეფურგუნეების დასაკმაყოფილებლად 18,675 მან. გადადების შესახებ.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო-სასანიტარო განყოფილებისთვის გადაიდო 200,000 მან. 10 მილიონიან ფონდიდან.

—

მთავრობამ დაადგინა კავკასიის საარქეოგრაფიო საზოგადოება გაუქმდეს, ხოლო ყველა მისი აქტები და საქმეები გადაეცეს ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

—

სასურსათო სამინისტროს დაევალა სოხუმის ოლქს მისცეს სამანუფაქტურო საქონელი.

—

განხილულ იქმნა გრინიოვის თხოვნა, რომელსაც 4 წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი კერენსკის შეურაცხყოფისა და ცდოებით მთავრობის ჩამოსაგდებ მოქმედებისათვის. დაადგინეს გრინიოვი განთავისუფლონ იმ პირობით, რომ მან საქართველოს ტერიტორია დასტოვოს.

—

ეროვნულ საბჭოს ხელოვნების კომისიის მოხსენება საქართველოს ღერბის შესახებ ფრაქციებს გადაეცა განსახილველად.

—

სკოლების ეროვნულ საფუძველზე მოწყობის საკითხი დაადგინეს განათლების მინისტრს გადაეცეს თავისი აზრის გამოსათქმელად.

—

ბონების გამო ადერბეიჯანის ელჩის პროტესტის გამოცხადებისამებრ, მთავრობამ აკრძალა ადერბეიჯანში ფულის გადაგზავნა, როგორც ფოსტის, ისე ბანკების საშუალებით.

—

დამტკიცებულ იქმნა დებულებანი გერმანიაში გასაგზავნ საქონლის გაცვლის კომისიისა.

—

10 მილიონიან ფონდიდან გზათა სამინისტროს განკარგულებაში 100.000 მან. გადაიდო თიანეთის მაზრის სოფ. დაკანში ნავთის დასამუშავებლად.

—

შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა საკითხი გადასაწყვეტად სახელმწიფო კანტროლიორს, სამხედრო და შრომის მინისტრებს გადაეცათ.

—

მთავრობამ უარჰყო ადერბეიჯანის წარმომადგენელის შუამდგომლობა ზაქათალის ოლქის საბეგრო და სახაზინო [illegible] მისთვის გადაცემის შესახებ.

—

ტყიბულის ქვანახშირი გზათა მიმოსვლის სამინისტროს გადაეცა.

ეროვნული საბჭო

აგვისტოს 9-ს სხდომა.

თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი. საბჭო კრების წესრიგს, რომელსაც მდივანი კითხულობს უცვლელად ამტკიცებს.

ს. ფირცხალავა (სოც.-ფედ.) კითხულობს საბოლოო რედაქციას მუშათა დაზღვევის კანონის, რომელიც გამოცემულია 1917 წელს სამოცდამეხუთე მუხლისას, რომელიც მუშათა ეხლანდელ ნივთიერ მდგომარეობის და მიხედვით იქმნა შესწორებული.

ასათიანი. (ნ.-დ.) კითხულობს კანონ პროექტს შესახებ ფინანსთა სამინისტროსთან სალიკვიდაციო კომისიის დაარსებისა, რისთვისაც საჭიროა სახელმწიფო ხაზინიდან გადადებულ იქმნას თორმეტი ათასი მანეთი.

ამ კანონპროექტსაც ეროვნული საბჭო უკამათოდ იღებს.

შემდეგ კანონპროექტის გამო, რომელიც ეხება ქუთაისის გუბერნიაში მხვილ საქონლის ჭირთან ბრძოლას. მო-

როგორც სამინისტროს აქვს წარდგენილი კომისიაში, იმ განსხვავებით მარტო, რომ დაერთოს სიტყვები: მიეცეს ასი ათასი მანეთი **ავანსის სახით**; ასეთ დამატებას მომხსენებელი იმით ასაბუთებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც ეძლევა თანხა, შემდეგ მოვალე იქნება დოკუმენტები სრული წარმოადგინოს თუ რაში და როგორ დახარჯა.

ეროვნული საბჭო ამასაც უკამათოდ იღებს და გადადის მორიგ საკითხზე—დ. ჩიქოვანის შეკითხვაზე ეს შეკითხვა საბჭომ ორ კრებაზე გადასდო

დ. ჩიქოვანი. (რად.-დემ.) დიდმა რევოლიუციამ ჩვენს ქვეყანას მიანიჭა ის, რასაც ბევრი ჩვენგანი ნატრულობდა და აუსრულებელ სურვილად სთვლიდა, სახელდობრ, დამოუკიდებელი სუვერენული და მასთან დემოკრატიული საქართველო. არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ ჩვენი ხალხი ამ დღეს სრულიად მოუმზადებელი შეჰხვდა; მას ნაკლებად ესმის რევოლიუციისგან მიღებულ განძის ღირებულებისა, ხალხი ნაკლებ მომზადებულია იმისთვის, რომ იცოდეს, ესმოდეს და აფასებდეს დღევანდელ ვითარების პირობებს და აი მას მრავალ ნაკლთან ერთად თან დაჰყვა ძველი დროის და ბნელი რეჟიმის ავი სენი—ქურდობა, მექრთამეობა. ეს საშინელი სენი ჩვენს რესპუბლიკაში საშინელი სისწრაფით ვითარდება და იქნებ ზოგიერთი წევრი ეროვნულ საბჭოსი დიდ მნიშვნელობას არ აძლევდეს მას, მაგრამ მე კი ამ მექრთამეობაში ვხედავ უდიდეს საფრთხეს და ვამბობ რომ იგი დიდ განსაცდელს უმზადებს ჩვენს ხალხს და დამოუკიდებელ რესპუბლიკას. მე როგორც პატრიოტი და რესპუბლიკანელი ვამჩნევ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი თანდათან ამ სენით ავადდება. მიუხედავად იმისა, მაინც იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხალხი მოახერხებს სუვერენობის შენარჩუნებას, ამისთვის საჭიროა ეროვნულმა საბჭომ დაჰგმოს ის მხარეები და ის სავალალო მოვლენანი, რომელნიც, ჩვენის რწმენით, ძირს უთხრიან ჩვენს რესპუბლიკანურ წესწყობილებას.

დასავლეთ ევროპაში შეკითხვას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენში. ჩვენს პატარა პრაქტიკაში აშკარად ვხედავთ ყველა, რომ ყოველ შეკითხვას მოჰყვება ხოლმე განუსაზღვრელი პარტიული კინკლაობა. ამიტომ, მინდა რა ამას ავსცდე, ვაცხადებ, რომ ჩემს შეკითხვას აქვს მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოსაზრება და ინტერესი საფუძვლად.

ჩვენს ხალხში დღეს მეტად ძლიერია ინსტიქტი მკვლელობისა, ადამიანის ცხოვრება-სიცოცხლის სრულის უღირებლობისა. ეს რა თქმა უნდა, შედეგია ომისა და დიდ რევოლიუციისა. მაინც საჭიროება სახელმწიფოებრივი გვიკარნახებს ამ ინსტიქტს მიეცეს ერთგვარი ფორმა, ყოველ შემთხვევაში ფორმა კანონიერი. რევოლიუციის დასაწყისში მით დიდი იყო რევოლიუციის მტრებისგან და საჭიროც იყო მათთან დაუნდობელი ბრძოლა. ამ ხანებში მილიციონერობა უნებურად, რათა ბოლო მოეღო განმწარებულ ბოროტმოქმედებისთვის, სასამართლოს ფუნქციებს იღებდა თავის თავზე და ასრულებდა კიდეც. დღეს კი უკვე სხვა პირობებია, ჩვენ უკვე გვაქვს ჯეროვანი წესი, სასამართლო და ცხოვრებაც თავის კალაპოტში ხელ-ხელა დგება. ამიტომაც არც საჭიროა კვლავაც არსებობდეს ერთგვარი აღრევა აღმასრულებელ და სამოსამართლო ფუნქციებისა ერთმანეთში; პირიქით, ეხლანდელი მომენტი გვიკარნახებს რაც შეიძლება მალე მოხდეს ასეთი განაწილება, განსაზღვრა, გაყოფა ფუნქციებისა. დაე აღმასრულებელი ძალა იყოს მარტო აღმასრულებელი და სხვა არაფერი, ხოლო სამოსამართლო ფუნქცია მთლად გადავიდეს და დაეკისროს მარტო სასამართლოს.

მე ერთ უბანში (ნაძალადევში) ვცხოვრობ და ვიცი ცხრა მაგალითი იმისი, რომ საადმინისტრაციო ფუნქცია სამოსამართლოსგან არ იყო განსაზღვრულ ჩამოშორებული. ცხრა კაცი მოჰკლეს იმ ერთ უბანში სხვა და სხვა დროს, ზოგი ამიერკავკასიის რესპუბლიკის დროს და ზოგიც ჩვენი რესპუბლიკის ხანაში. მე ვიცოდი, რომ ის ხალხი, რომელიც ნაძალადევში დაიხოცნენ, მართლაც მავნე ელემენტს წარმოადგენდა და ამიტომ ყურადღებას არ ვაქცევდი. მაგრამ უკანასკნელმა შემთხვევამ, რომელიც მე თითქმის ვნახე, დამარწმუნა რომ საჭიროა ფუნქციათა ასეთ აღრევას ბოლო

უკანასკნელი მეცხრე შემთხვევა მოჰხდა, როგორც გავიგე არა პოლიტიკურ ნიადაგზე. ნაძალადევი უნდა ითქვას ერთგვარ საყასბოდ აქციეს. ყველა აქ მოჰყავთ და აქ ასალმებენ წუთისოფელს. აგვისტოს 1 დილის 8 საათზე მეცხრე მსხვერპლიც აქეთ წამოეყვანათ მითომდა სოც.-დემ. პარტიის პირველ რაიონის ბიუროში, რომელიც იქ ნაძალადევში, იმყოფება ხალხის თვალწინ, გულზე დაკრეფილს ალბად იმიტომ, რომ არ ეთქვათ მერე გაგვექცა და მიტომ მოვკალითო, ჰქიკო რუსაძეს 10 თუ 15 ტყვია ესროლეს და მოჰკლეს. მოკვლის მერე გაჩხრიკეს და აღმოაჩნდა რევოლვერი, თანაც მოწმობა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა იარაღის ტარების ნებართვისა. ასეთი მაგალითი, რომ დღისით, ხალხის თვალწინ მოჰკლან ადამიანი წინად არ ყოფილა. ამის გამო ხალხი უკვე ალმაცერად უყურებს ამას და, როცა მეორე დღეს ერთ მთვრალ კაცს მილიციონერებმა მოუწადინეს ბიუროში წაყვანა, ხალხი საქმეში ჩაერია, მთვრალი კაცი ხელიდან გამოჰგლიჯა და უთხრა: ჩვენ ამას არ გაგატანთო. აი ხედავთ, საქმე იქამდის მივიდა, რომ ხალხი ერევა და რომ უკვე დაირღვა საზღვარი უფლებრივობისა.

ჩემი შეკითხვის მიზანია—მოჰხდეს სრული გამიჯვნა ადმინისტრაციისა იუსტიციისგან, აღმასრულებელ ძალისა სამოსამართლოსგან.

იუსტიციის მინისტრი **შ. მესხიშვილი.** ბატონნო ხალხის წარმომადგენელნო! მე ძალიან გულმოდგინედ მოვისმინე საბჭოს წევრის ბ-ნ ჩიქოვანის შეკითხვა, რომელსაც მისი სიტყვით სახელმწიფოებრივი მიზანი ჰქონდა, მაგრამ მოგახსენებთ, რომ ჩიქოვანის შეკითხვაში მე სახელმწიფოებრივი დასაბუთება ვერა ვპოვე, რადგან იგი მას არ ჰქონდა. დღეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ამბავი, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი ძალიან მოდუნებულია და ამ მძიმე დროს თუ თქვენ მთავრობას არ დაეხმარეთ, თუ თქვენ, რომელსაც ხელთ გაქვთ ცხრა ფაქტი ბოროტმოქმედებისა, ეს სათანადო უწყებაში მთავრობას არ განუცხადეთ, მოგახსენებთ, რომ ჩემთვის, როგორც იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლისათვის, ცხარე ფაქტი მიუღებელია. ჩიქოვანმა ბრძანა, რომ პირველი რვა მკვლელობა სამართლიანად მოჰხდა იმიტომ, რომ ხალხის საერთო აზრით ის რვა კაცი მართლაც მავნე ელემენტი იყო, ხოლო ეს მეცხრე მკვლელობა უსამართლოდ მოჰხდა და მიტომაც შევეკითხე მთავრობასო. მე კი მოგახსენებთ, რომ რაც უნდა დიდი დამნაშავე დიდი ბოროტ-მოქმედი იყვნენ ის რვა მოკლულნი, თქვენ, რომელთაც იცოდით ფაქტი განუსჯელად მოკვლისა, მოვალე იყავით ეს გეცნობებინათ მთავრობისთვის, ხოლო ისინი, ვინც წილი დაიდო ამ მკვლელობაში, სასამართლოში გადაეცემოდნენ. მე, როგორც იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელს, თამამად და თავისუფლად შემიძლიან განვაცხადო ეროვნულ საბჭოს წინაშე, რომ არც ერთი ტუსაღი, არც ერთი ბოროტმოქმედი, რომელიც კი იუსტიციის ხელში გადვიდა და სასამართლოში მიეცა, სიკვდილით დასჯილი, დახვრეტილი არ ყოფილა. და თქვენ იცოდით, რომ ხალხს განუსჯელად ხვრეტავენ, ვალდებულნი იყავით აქ კი არა, ეროვნულ საბჭოში განგეცხადებინათ, არამედ იქ, სასამართლოში, მობრძანებულიყავით და აღგეძრათ საქმე. ვინც განუსჯელად ხვრეტს ხალხს, ის სამართალში მიცემული იქნება, როგორც წინასწარ განზრახულობით მკვლელობის ამძენი.

აქ ფუნქციათა განაწილება-გაყოფაზედაც ილაპარაკეს. ამის შესახებ შემიძლება ის განვაცხადო, რომ ორივე სამინისტრო: იუსტიციისაც და შინაგან საქმეებისაც ენერგიულად მუშაობენ და ამ ახლო ხანში, თუ კი სრული სიმშვიდე ჩამოვარდა და შესაძლებელი შეიქმნება წესიერი ცხოვრება, მოჰხდეს სრული და სასტიკი გამიჯვნა აღმასრულებელ და სამოსამართლო ფუნქციებისა. რაც შეეხება სასამართლოების კანონპროექტს, იგი ამ მოკლე ხანში წარმოგედგინებათ განსახილველად და დასამტკიცებლად.

ჩიგოგიძე (სოც. რევ.) ჩიქოვანის შეკითხვაში აღნუსხული მოვლენები არც თუ ისე იშვიათია ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ისეთ პირობებში, რომელთა შორის დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, მართლაც რომ გაძნელებულია მართლმსაჯულების გარანტიის უზრუნველყოფა, [illegible] ითქვას, რომ დროა მტკი-

იოსებ ბარათაშვილი (სოც. ფედ. და თავმჯდომარის ამხანაგი). ანარქია მძვინვარებს, ბოროტმოქმედება ხშირდება, ძარცვა-გლეჯას საზღვარი არა აქვს ყველა ამასთან ბრძოლა არის საჭირო, მაგრამ რა საშუალებით? მინისტრმა გვიჩვენა სასამართლოს გზა. დიახ, რაკი სახელმწიფო ეყრდნობა კანონს და კანონიერად მოქმედებას მოითხოვს, ამიტომ ჩვენც ყოველივე დარღვევა არსებულ კანონისა სასამართლოს უნდა გადავსცეთ განსახილველად და მსჯავრის დასადებად. ეხლა კი ძალიან ხშირია, ამას არა ერთხელ ამოიკითხავთ გაზეთებში, ესა და ეს კაცი გაიქცა, როცა მილიცია მიჰყავდა, და მოჰკლესო. ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, მართლა დააპირა გაქცევა თუ არა. ამას ჯეროვანი და დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. იყო თურმე ერთი მაგალითი როცა ერთი ამათაგანი შეიპყრო მილიციამ, შეპყრობილმა ამოიღო თოკი ჯიბიდან და სთხოვა: „ხელები შემიკარით რომ არ გავიქცეო“ დიახ. იუსტიციის სამინისტრომ უნდა გამოიკვლიოს ყველა ასეთი ფაქტი და ბოროტება მოსპოს, ვინაიდან ეს არის გასამართლება კი არა, არამედ თვითგასამართლება, ხოლო თვითგასამართლება ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოში შეუწყნარებელია

(დასასრული იქნება.)

ომის დეპეშები

ბერლინი. 8—9. კრონპრინც რუპრეხტის არმია. იზერისა და ანკრის შუა საარტილერიო ბრძოლაა. იპრის სამხრეთ-დასავლეთით და ლისის სამხრეთით მტერმა იერიშები მოიტანა, მაგრამ უკუქცეულ იქმნა. ანკრსა და ავრს შორის მოპირდაპირე მრავალ რიცხოვანი ჯარით იერიში მოიტანა. მოპირდაპირის ნაწილმა მოახერხა ჯავშნოსნებით ჩვენს პოზიციებთან მოჭრა. სომმის ჩრდილოეთით ჩვენ განვდევნეთ მოპირდაპირე. სომმასა და ავრს შორის ჩვენ შევაჩერეთ მოპირდაპირის წინსვლა მერტურხარბონ მერ-სეფრესნა-მონტუარის აღმოსავლეთ მხარეს ამ ბრძოლაში ჩვენ დავკარგეთ ტყვეები და რამდენიმე ზარბაზანი. ინგლისელების ჯარს აქ ეხმარებიან ავსტრალიელნი და კანადელები, აგრეთვე ფრანგები.

გერმანიის კრონპრინცის არმია. ვესლასთან, ზოგიერთ ადგილებში საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. ჩვენთვის სახეირო ბრძოლაა ბრენტის ორთავე მხარეს და შამპანში, სუენ-ს ჩრდილოეთ დასავლეთით.

ახალი ამბავი

◆ **ახალი რადიო-სადგური ფოთში.** ფოთიდან დეპეშით იუწყებიან რომ იქ უკვე დასრულდა რადიო-სადგურის მოწყობა.

◆ **ქართულ კლუბის განათება.** ნება დართეს ქართულ კლუბის გამგეობას 11 საათის შემდეგ მხოლოდ სანთლებით ისარგებლონ და ელექტრონის და ნავთის სინათლე არ იხმარონ.

◆ **ხალილ-ფაშა.** დღეს, აგვისტოს 11-ს ხალილ-ფაშა თავის შტაბით მიდის გუმბრში იქიდან ერევანში გაემგზავრება სომხეთის მთავრობასთან.

◆ **ნავთის შესყიდვა.** ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ იშუამდგომლა მთავრობის წინაშე: მისცენ მას ავტომობილი-ცისტერნები, ნავთის მოსატანად.

◆ **საქონლის გამცვლელმა კომიტეტმა** დაამთავრა გერმანიაში მიმავალ კომისიის მდგომარეობის და მოქმედების გეგმის შედგენა. კომისიას განსაკუთრებული უფლებები მიენიჭება.

◆ **სახალხო რაზმის** ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ დადგენილია შეადგინონ ხარჯთაღრიცხვა, და საქართველოს რესპუბლიკაში სახალხო რაზმის მოქმედების გეგმა.

სახალხო რაზმის ორგანიზაციის შესახებ დადგენილია: 1) დაინიშნოს კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სახალხო რაზმის მოსაწყობად.

◆ **შუშაში** სხვა და სხვა ეროვნების მცხოვრებთა შორის კეთილი დამოკიდებულებაა. ფულის კრიზისი მეტად საგრძნობი გამხდარა.

◆ **ხოჯევანქის სასაფლაოზე** აღმოაჩინეს ერთი ტომარა ვერცხლის ფული. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა 12 მძარცველი, რომელთაც დაემალათ ეს ვერცხლის ფული. გამოირკვა რომ ამ ფულის ნაწილი ეკუთვნოდა პოლკ. შახ-ბუდაგოვს, რომლის ბინიდანაც ამას წინად ფული მოიტაცეს.

◆ საქართველოს რესპუბლიკის წყლის

რაიონში ამ დღეებში გზავნის სამ სპეციალისტს ინჟინერ-მელიორატორს ქ. ჯაფარიძეს, ინჟ. ს. ვ. გრძელოვს ინჟ. ნ. მ. [illegible] ტით.

◆ **დუშეთის აჯანყების** დასაფარავად მთავრობას დაუდგენია გადასდოს 200,000 მანეთი.

◆ **საქართველოს ლაშქრის უფროსმა** აზრი გამოსთქვა: მეტად სასურველია ს.-ფედერალისტთა რაზმი სახალხო რაზმს შეუერთდებოდესო.

◆ კომპოზიტორი დ. ი. არაყიშვილი მიიწვიეს სიონის საკრებულოსთან არსებულ „ქართულ საეკლესიო გალობის მოყვარულთა საზოგადოების“ მუსიკალურ ინსპექტორად.

◆ **ბაქოს გარშემო.** როგორც კერძო ცნობებით სჩანს, ბაქოს ფრონტზე ინგლისელები გაჩენილან. ბაქოს აღების ამბავი,—რომელიც თათრებმა გადმოგვცეს, ტყუილი აღმოჩნდა. ოსმალთა ჯარს ბალაჯარამდე დაუხევია.

◆ **თეთრეულის გატაცება,** ანდრონიკაშვილის ქუჩაზე მცხოვრებმა ვ. ანდ[illegible]ძემ მილიციაში განაცხადა: რომ ბ. ნახუცრიშვილს ჩაბარა 2000 მანეთის თეთრეული, რომელმაც იგი მიითვისა და ეხლა ვერსად უნახავს.

◆ **საქართველოს სამხედრო გზის დაცვა.** დადგენილია საჩქაროდ მთავრობას წარმოუდგინონ გადასაწყვეტად საკითხი საქ. სამხედრო გზის დაცვის შესახებ ლტოლვილთა მოძრაობის საქმის მოწესრიგება და სხვა საქმეები სამხედრო გზაზე, ამაზე მოხსენებას წაიკითხავს სალირაშვილი და კოხიაშვილი.

◆ **საერობო არჩევნები** ტფ. მაზრის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც აწარმოებს მაზრაში საერობო არჩევნებს, ამიერკავკასიის ერობას დაკისრებულების დროებ. დად. მე-68 მუხლით აცხადებს, რომ სამაზრო საერობო არჩევნები აბბულაღის ოლქში (ბედიკლუჯ) დანიშნულია აგვისტოს 25. მანგლისის ოლქში კი—სექტემბრის 1 (ახ. სტ). იმავე დადგენილების მე-7 მუხლით კომიტეტი იწვევს დაინტერესებულ პარტიებსა და ჯგუფებს, მსურველ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა აბბულაღის ოლქში, შეიტანონ საარჩევნო კომისიაში კანდიდატთა სიები საყოველთაოდ გამოსაცხადებლად—არა უგვიანეს აგვისტოს 15-ისა, მანგლისის ოლქში კი—აგვისტოს 21-ს. ხმოსანთა რიცხვი ასეა განაწილებული: აბბულაღის ოლქში—7 ხმოს. მანგლისში 5 ხმოსანი.

კომიტეტის პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის აცნობოს დაინტერესებულ პარტიებსა და ჯგუფებს, რომ კომიტეტის ფინანსიური მხარის სისუსტისა გამო საარჩევნო ბიულეტენების დამზადება და დარიგება მათი კერძო ინიციატივის საქმეა, მხოლოდ საჭიროა დაცულ იქმნას ზოგიერთი ფორმალური მხარე მიღებული აღმსრ. კომიტეტის მიერ.

ყოველნაირი ცნობებისა და განმარტებისათვის მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მაზრის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის კანცელიარიაში, რომელიც მოთავსებულია პეტრე დიდის № 22, მიწათმოქმედების სამინისტროს შენობაში, მესამე სართული, პირველი ოთახი შესავლიდან მარცხნივ. ტფ. მაზრის აღმსრ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

◆ **ქ. შ. წერა-კითხვის გამავრ. საზოგ.** ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების კრებები სისტემატიურად იმართება ყოველ საშაბათობით.

◆ ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ დადგინა: წიგნად გამოსცეს ნიკო რამისა და პლ. აბულაძის მიერ შედგენილი ლათინური ენის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი. ეს შრომა წინასწარ გაეგზავნა განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად,

— წ.-კ. ს. საზოგადოების გამგეობამ სოფ. ხაფარეულში ახლად დაარსებულ საკვირაო სკოლას დახმარება აღმოუჩინა წიგნებითა და რვეულებით.

— ს. ვეჯინის მცხოვრებთა შუამდგომლობა, ამ სოფელში წ.-კ. ს. განყოფილების დარსების შესახებ, გამგეობამ დაამტკიცა. განყოფილება ფაქტიურად უკვე შესდგომია მუშაობას.

— ქ. შ. წ.-კ. წიგნის მაღაზიის შემოწმება უკვე დამთავრდა და მაღაზია უკვე სწარმოებს ვაჭრობა.

— ქ. შ. წ.-კ. საზოგადოებას. ივლისის განმავლობაში ჰქონია შემოსავალი 84,559 მ. ქ. გასავალი—33, 481 მ. 96 კ. პირველ აგვისტოს საზოგადოებას ჰქონია პროცენტიან ქაღალდებად ნაღდ ფულად და სხვა 741,876 მ. 48 კ.

— წ.-კ. საზ. კავკავის სკოლისთვის

— მასწავლებელთა თავისუფალი ადგილები არის წ. კ. საზ. შემდეგ სკოლებში: 1) ატენის, ვარიანის, ყალამშიის, გომარეთის, აკაურთის, ბორბალოს და და საგურამოში ამ ადგილებზე მასწავლებელთ მიეცემათ მიწა და 2520 მან. წლიურად.

◆ **ძველი სტილი.** რედაქციას მოუვიდა შემდეგი ბარათი: ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, ვითომც სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო საბჭოს დაედგინოს, „შემოღებულ იქმნას საქართველოს რესპუბლიკის საეკლესიო და სამოქალაქო ცხოვრებაში ახალი სტილი“.

პატივისცემით მოგახსენებთ, რომ საკათოლიკოზო საბჭოს ამისი მსგავსი დადგენილება არ მიუღია, პირ იქით საბჭოს დადგენილებით საეკლესიო დღესასწაულები კვლავინდებურად ძველის დროთაღრიცხვით უნდა იუქმებოდეს, რაიც სათანადო განკარგულებისათვის ეცნობა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ამა წლის 16 მკათათვის თარიღით № 2367. კეთილი ინებეთ და თქვენს პატივცემულ გაზეთში შეასწორეთ ეს ცნობა. საკათოლიკოზო საბჭოს მდივანი **ნ. კურდღელაშვილი.**

◆ **ტფილისის უნივერსიტეტი.** უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო: ბარბარე იოსების ასულის ღვინიაშვილისაგან ათი წიგნი სხვადასხვა აღმოსავლურ ენაზე; ალექსანდრე ხეიმანისაგან 19-ე საუკუნის ერთი ხელთნაწერი; გიორგი ბურჭულაძისაგან „კვალი“, უკანასკნელი შვიდი წლისა, ზოგი ნომრების გამოკლებით, „მოგზაური“ 1905 წ., „ერი“ 1910 წ., „საქართველოს მოამბე“ 1910 წლ., „კლდე“ 1914 წ. „ივერია“ 1906 წ. „განათლება“ 1908 წ. 1 წიგნი, 1909 წლ. 1 წიგნი, 1910, 11 და 12 წლების ზოგი ნომრები; „ცნობის ფურცლის“ დამატებანი 1902—06 წლ. ზოგი ნომრების გამოკლებით, ორი ხელთნაწერი ახალი დროისა, ბერჟესი და ბაქრაძის რუსული წიგნი—არქეოლოგიიდან და მისივე ნაწარმოები: „გერმანელების ახალშენები ამიერ-კავკასიაში“; გენერალ ვ. დ გაბაშვილისაგან 1 ატლასი, 52 წიგნი, ჟურნალები და რუკები, ერთი პატარა ყუთი და თირი მუშის ყუთით; ას. ახალშენიშვილისაგან ტფილისის პირველ დაწყებით სკოლების ქართვ. მასწავლებელთა შორის შეგროვილი სამას ათი მანეთი და 50 კაპ., ნიკ. ბადრიძისაგან სოფ. ნორიოს მომხმარებელი „საზოგადოებისაგან შემოწირული ოცდახუთი მან., სოფ. ჯოლევში (სამეგრელოშია) წარმოდგენილან, შემოსული ორასი მანეთი ფული—გადმოგვეცა ამ საქმის ინიციატორთაგანმა კაპიტ. ი. ახჯაფარიძემ.

უნივერსიტეტის გამგეობა ულრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

◆ **შულავერიდან.** ეროვნულ საბჭოს დეპეშით ატყობინებს კომისარი ს. გალეჩიანცი: „მდგომარეობა საშიშია, შულავერი გარშემორტყმულია სამხედრო ნაწილებით. მცხოვრებნი ძალიან აღელვებულნი არიან. მათ მოსთხოვეს 4,000 ფუთი ხორბალი, რის მიცემაც მცხოვრებთ არ ძალუძთ. მოსალოდნელია არა სასურველი ექსცესები. მოსალოდნელ უსიამოვნებათა თავიდან ასაცილებლად გთხოვთ სასწრაფო დეპეშით შეაჩეროთ (?)... შულავრის გარშემო ტყვის მფრქვეველებია დადგმული. მოემზავრება მცხოვრებთა დელეგაცია.

◆ **ლტოლვილთა საქალაქო განყოფილების მოსამსახურეებმა** შრომის სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, მიეცეთ მათ სალიკვიდაციო. იმის გამო, რომ მათი სამსახური დროებითი იყო, მოსამსახურეებისთვის არც უქმე დღეები არსებობდა, არც სამუშაო დრო ჰქონდათ განსაზღვრული. შრომის სამინისტროს ჯერ პასუხი არ გაუცია.

◆ **ლტოლვილები.** დადგენილია ყველა ლტოლვილთა თავშესაფარი დახურული იყოს ერის გარდა, რომელშიაც ავადმყოფები იმყოფებიან. 40 ათას ლტოლვილი გაემგზავრა მე-300 ვერსზე, ზვანი კი გაიფანტნენ ქალაქში და ანარქიას აძლიერებენ.

◆ **ქურდობა.** მ. დეიკინის ქალმა სისხლის სამართლის მილიციის უფროსს განუცხადა, რომ ბინაზე არ ყოფნის დროს (თეოდოსიის ქ № 14) უცნობთ გაუქურდავთ და წაუღიათ რუსული ფულით 1,500 მან. ქურდის შესაპყრობად ყოველივე ზომები მიღებულია.

— გენ. ალ. შახბუდაგოვმა განუცხადა ისხლის სამართლის მილიციის უფროსს, ომ მისი ბინიდან (რტიშჩევის ქუჩა № 2) ინ არ ყოფნის დროს შერჩეული გასაღებით შესულან და გამოუტანიათ სხვა ა სხვა ძვირფასი ნივთი და ფული. ლ 40,500 მანეთისა.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, კვირას, პარტიულ კლუბის დარბაზში შესდგება კრება. (გაგრძელება) რომელზედაც იქნება კამათი, ამხ. ალ. წერეთლის და ვახ. კოტეტიშვილის მოხსენებათა გარშემო. თემა: ჩვენი ტაქტიკა. დასაწყისი ხაღ 6 საათზე (ახალი დროით.)

პარასკევის, საღამოს რვა საათზე, პარტიულ კლუბში მოხსენება წაიკითხეს ამხ. ალ. წერეთელმა და ვ. კოტეტიშვილმა ჩვენი პარტიის და ფრაქციის ტაქტიკაზე, მათ უპასუხეს ა. ხ. ქ. რაჭველიშვილმა და სამს. დადიანმა რახან კამათი ამხანაგები ძლიერ დაინტერესდნენ და გვიან კი იყო, კრება **გადაიდო დღეს საღამოს სწორედ** 7 ს. (ახ. დრ.) ხალხი კრებას ბლომად დაესწრო.

ზოგი რამ

შეიძლება მეტიც იყვეს, მაგრამ მე ვიცი მხოლოდ სამი ხალხი, თავის დედაქალაქს რომ უბრალოდ ქალაქს ეძახდა, თითქოს მის მეტი ქალაქი მათ ქვეყანაში სხვა არ ყოფილიყვეს. ასეთი იყო რომაელობა, რომელიც რომს იტალიის დედაქალაქს, იხსენიებდა **ურბს** სახელით, მერმე ბიზანტიელმა ბერძნებმა ბიზანტიის საკეისრო დედაქალაქს კონსტანტინოპოლს შეარქვეს **პოლის**, რომელიც ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ იქცა **სტამბოლად**. ქართველები, რომელთათვისაც საქართველოში ქალაქი მხოლოდ ტფილისი იყო და ეხლაც არის. ქართველი როცა იტყვის, ქალაქს მივდივარ, ქალაქიდან მოვდივარ, ან როცა ერისთავი, თავის გმირს ათქმევინებს, დახე, ჩვენი ქალაქი რა რიგად გამოცვლილაო, ქალაქად ყოველთვის იგულისხმება ტფილისი, ასეთი შეხედულობა ხალხისა ბრწყინვალედ ჰმოწმობს თუ, მის გენიას ქალაქის გაშენებაში რა წილი უძევს, მის არსებობას როგორ მოჰქცევია.

იბერია, სადაც ტფილისია, როგორც ჰმოწმობს ქრისტეს დაბადებამდე პირველი საუკუნის სახელოვანი ბერძნის მწერალი სტრაბონ, მით იყო შესანიშნავი, რომ მის ქალაქებს ამშვენებდა კრამიტით დახურული სახლები და საჯარო მოედნები.

ქალაქი ძველის-ძველია. მისი დასაწყისია **ქალა**, ანუ **კალა**, რომელიც ჰნიშნავს მაღლობ სიმაგრეს და რომელიც VI საუკუნეში ქრისტეს შემდეგ, ქართლის ცხოვრების თქმით, იმდენად ყოფილა. გაზრდილ-გადიდებული, რომ ვახტანგ გორგასლანს სამეფო ტახტი აქ გადმოუტანია მცხეთიდან, რომელიც თურმე მკვიდრთა რაოდენობით შეთხელებულა იმ დროისთვის მრავალჯერ გადაუწვია, აუკლია და აუოხრებია მტრის ხელს, მაგრამ ყოველთვის ფენიქსივით განახლებულა. VI საუკუნეში აუკლიათ ბიზანტიელ-სპარსელებს, რომელნიც ერთმანეთს ებრძოდნენ საქართველოს დასაპყრობად. VIII საუკუნეში დაიპყრეს არაბებმა—რომელნიც საბოლოოდ განდევნილ იქმნენ XII საუკუნეში დავით აღმაშენებლისაგან. XIII საუკუნეში რუსუდან დედოფლის დროს აიკლო თურქთა სულთანმა ჯალალედინმა, შემდეგ იმავე საუკუნიდან სათარეშო გახდა მონღოლთა ურდოებისა რომელნიც შვიდჯერ შემოესივნენ ქართლსა, XVI საუკუნიდან კი მორიგეობით ანადგურებდნენ თურქები და სპარსელები, რომელთა ყაენმა აღა მაჰმადხანმა XVIII საუკუნეში გადასწვა.

ეხლა ვნახოთ ქალაქის ვითარება ბედ წაღმართობის ჟამსა. XVII საუკუნეში დაახლოებით 1668 წ., როგორც ჰმოწმობს პატრი მიქელ თამარაშვილის **ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის** (გვ. 233), ჰყოლია 70—80 ათასამდე მცხოვრები. ხოლო XVIII საუკუნეში, აღა-მაჰმად-ხანის მიერ აოხრებამდე, შემკული იყო სამეფო პალატებით, რომელიც იყო გაშენებული იყო მტკვრის პირად სიონის ტაძრიდან მოყოლებული ვიდრე ანჩისხატის ტაძრამდე რომელიც უნახიათ და აუწერიათ საფრანგეთის ქვეშევრდომ შარდენს და კლაპროტსა. რუსის მთავრობა რომ ვერაგულად გაბატონდა 1801 წ. ტფილისში, რასაკვირველია, აღარაფერი დახვდა კეთილხაშენი. ყველაფერი შემუსვრილ იყო სპარსთაგან. სიონის ტაძარი სასწაულებრივ გადაურჩენიათ, თუმცა ამბობენ, გუმბათი მაინც მოუშალეს სპარსელებმაო. მეფე და ფეოდალი ძველად რაც უნდა მოსავნი ყოფილიყო, დიდებულ ტაძრებთან ერთად, რომელსაც აიგებდნენ ხოლმე სამარხ აკლდამად, საწუთროსაც არა ნაკლებად პატივს სცემდნენ, პალატებსაც დიდებულს იკეთებდნენ. ხოლო თუ დღეს დიდებული ტაძრები მოგვეპოვება, პალატები კი აღარ, იმის ბრალია, რომ შემოსულ მტრებს სიმდიდრე ეგულებოდა პალატებში და პირველი იერიში მეფეთა და ფეოდალთა ციხე-დარბაზებსა და სრა-დარბაზებზე მიჰქონდა და ანადგურებდა. ქართველთა ხალხის ისტორიის ოქროს პერიოდში XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის და XIII საუკუნეში თამარ მეფის დროს ქალაქის პალატების და შიგ დიდსაჯული ცხოვრების ვითარებას კარგად გვიხატევენ სახელოვანი პოეტები იოანე შავთელი და შოთა რუსთველი. იოანე შავთელი, რომელმაც დავით აღმაშენებლის ქებად დასწერა ჩინებული ხოტბა სახელად აბდულ **მესია** (მონა ქრისტესი), მეფის თანამხლებელი იყო ომში, თუ მშვიდობიანობის დროს, მაშასადამე რაც აუწერია, თვალით ნანახი ჰქონდა. მისი თქმით, მეფის ბაღში თვალთათვის საამო ხენი და ავაზნები იყო და შიგ გალავნით შემკობილი სრა. **კედელ ყურე** ფიქლით შეძერწილი და ძვირფასი თვლებით მოჭიქული ჰქონდა. მის კარს ამშვენებდა სვეტები, ჯარის სიმრავლე, სარბიელის სივრცე. შინ სახმარად ლანკან პიხაკები სულ ბადახშით შემკული ჰქონდა. მეფის **საჯდომელ ტახტს** კამკამი გაჰქონდა სარდიონით შემკულსა, ხოლო ძისაყრდნობელი მისი იყო ნაძვისა ძვირფასი თვალი ურიცხვი მოეპოებოდა, თვლების მთლად რიყე იყო, სადაც წყალი, როგორც ალი, ისე ენთებოდა მარგალიტები ბურთის ოდენი, მათთვის ზარდახშები იყო. ჯამები იაგუნდის, ლალ-ფირუზისა, უცხო ფერი ქურქელი მრავალი იყო. ოქროს ზოდები გორად ეწყო, ისმოდა მგოსანთა ხმა ებნის და წინწილისა. როგორც ვიცით, ასე მდიდრულად ცხოვრებამ ბრძენ მეფეს სინანულის გალობაც კი დააწერინა.

შოთა რუსთველიც ხომ კარის პოეტია. თავისი **ვეფხის ტყაოსანი** დაუწერია საქებრად თამარ მეფისა, რომელმაც ქალაქში იქორწინა დიდუბეში დავით სოსლანზე, როსტევან მეფის ავთანდილთან ერთად სანადიროდ გამოსვლა და მულღაზანზარში ავთანდილის ფრიდონთან შეხვედრა აუწერია ავტორს ისე, თითქოს მომსწრე, მნახველი ყოფილიყვეს, მაშასადამე არც წასულა არაბეთს როსტევან მეფის და ინდოეთს ფარსადან მეფის პალატის ასაწერად და რაც აუწერია თუ სულ არა, ბევრი მაინც თვალით ნანახი ჰქონდა. ასე რომ ვეფხის ტყაოსანში გამოჰკრთის აღწერა თანამედროვე ფეოდალთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და იმ პალატებისა, რომლითაც ქალაქი იყო მაშინ შემკული. შოთა რუსთველის თქმით, სრა დარბაზები დიდებულებს აშენებული ჰქონდათ წითელ მწვანე ქვისაგან, სახლებს ჰქონდათ ზემოთ დიდრონი და ტურფა ბანები, ქვემოთ კი მშვენიერი დარბაზები. ბანიც და დარბაზიც რამდენიმე იცოდნენ. სახლები მაღალი იყო ასე, რომ კაცს ყოველგნით შეეძლო გადმოხედვა. სახლები იყო შიგნით იაგუნდით და ლალით შემკობილი და მოფარდაგებული ოქსინოთი და შადითა. პირსა ჰქონდა ბაღჩა და საბანლად სარაჯები ვარდის წყლისა. ბაღჩა ტურფა და სალხინო იცოდნენ, შიგ მფრინველები სირინოზის უამესად ჰგალობდნენ.

ჩვენი დედაქალაქის ვითარება მოკლედ ასეთია ისტორიულად და პოეტურის შემოქმედებით, რომელიც სინამდვილესაც ემყარება ვილაც „ნეტქო“ კი რუსულ გაზ. **„ედინენიეში“** მოჰყოლია, რუსი და სომეხი რომ არ ყოფილიყო, ქალაქი ისე არ გამშვენიერდებოდა და გაიზრდებოდა. ამ ორმა ხალხმა თავისი გენია აღმშენებლობისა აქ გამოიჩინოსო. ვითომდა ქართველების ხელში რომ ყოფილიყო ქალაქი, სულ არაფერი იქმნებოდა და ამიერიდან, რაკი რუსობა და სომხობა მოაკლდება, უდაბნოდ იქცევა. ივანე გომართელმა სთქვა, სომხებს ქალაქთან მხოლოდ აგური აკავშირებსო. ეხლა იმათ რუსობაც უნდა მიემატოს, რადგანაც იმათაც აგური აკავშირებთ თურმე ქალაქთან, სხვა არაფერი, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ მათ გუშინდელ ბატონობასა. მაგრამ „ნეკტოს“ ავიწყდება, ან არ ჰსურს, იცოდეს, რომ აგურის პალატები იგი, რომელიც რუსობას გაუშენებიათ, როგორც გაბატონებულ ხალხს, და სომხობას, როგორც მოვაჭრესა, გაუშენებიათ საქართველოს დემოკრატიის ნაოფლარითა. რუსის ხალხისას არაფერს ვიტყვი, შეიძლება მოსკოვის რესპუბლიკის საუბედურო კომუნისტური წესწყობილების მოსპობის შემდეგ ისწავლონ, რა არის ნამდვილი აღმშენებლობა, მაგრამ სომხის ხალხის აღმშენებლობას, რომელსაც ბრწყინვალე პერიოდი აქვს სომხეთის ისტორიაში, არც ქართველი ხალხის აღმშენებლობა ჩამოუვარდება, ამას კარგად ჰმოწმობს დიდებული ნაშთები ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და ვერ დაინახავს მხოლოდ ის, ვინც განგებ იბრმავებს თვალებსა.

დღეს საქართველო დასდგომია დამოუკიდებლივ ცხოვრებას, საკუთარი სახელმწიფოებრიობის ქმნას და განმტკიცებასა. ვისაც არ მოსწონს ჩვენი ასეთი გადაწყვეტილება, ფარულად, თუ აშკარად მოქმედებენ საქართველოს წინააღმდეგ მისი დემოკრატიის პოლიტიკური თავისუფლების მოსასპობად და დასამონებლად, ისეთი სტუმრები ვიდრე მიიზლავდენ სამაგიეროს, უმჯობესია საიდანაც მოსულან, იქვე წაბძანდნენ, რადგანაც დიდი ხანია ოქროს და ვერცხლის ღირებულობა დაუკარგნიათ და სპილენძად გადაქცეულან, როგორც ამბობს ქართველი ხალხის სიბრძნე ქართველობა უნახველი არ არის მოქალაქობრივად განვითარებული ცხოვრებისა, არც გუშინდელია, რომ ურუსოდ და უსომხოდ დამოუკიდებლივ ვერ შესძლოს პოლიტიკური ცხოვრების და ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა.

ტფილისიც არა ერთხელ განუთავისუფლებია თავგამოდებულ ქართველობას უცხო ტომელთა ბატონობისაგან, რისი მოწმეც არის ისტორია, და დღესაც მზად არის მისი-საქართველოს დემოკრატია სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს თავისი დედაქალაქის დასაცავად თავხედი მტრის წინააღმდეგ, რადგანაც მისი დაკარგვა იქმნება დაღუპვა საქართველოს დემოკრატიის და იმ საუნჯეთა, რომელიც იმ დემოკრატიას რევოლიუციით მოუპოვებია.

„ნეკტო“ ამაოდ გვაკვეხნის რუსის და სომხის ხალხის აღმშენებლობის გენიას. არც გვჭირია, არცა გვშურს კარგს იზმენ „ნეკტოები“, თუ მიაშურებენ თავიანთ სამშობლოს და იმას მოახმარებენ თავიანთ აღმშენებლობის გენიასა.

პეტრე მირიანიშვილი.

ვასიკო თარგამაძე

დეპეშამ ხონიდან გულსატკენი ამბავი მოგვიტანა. მოულოდნელად გარდაცვლილა და დღეს ასაფლავებენ ხონში ვასილ პავლეს ძე თარგამაძეს, ყველასათვის საყვარელ ვასიკოდ ცნობილს, სადას და გულწრფელ ადამიანს.

საზოგადოებისადმი სამსახური მან სოფლის მასწავლებლობით დაიწყო, ბევრ მიყრუებულ სოფელში იმსახურა, დააარსა სამკითხველოები, თვისი მეცადინეობით შემატა პროვინციას სკოლები, მთელი 15 წელი ატარა პასუხიმგებლობა და სიმძიმე სახალხო მასწავლებლისა.

აგერ 12 წელია რაც ის ხონის სამასწავლებლო სემინარიის ეკონომი იყო ყმაწვილების მეგობარი, ტკბილი, ოხუნჯი, გულკეთილი ვასიკო. ვერვინ იტყვის ვასოს ჰირს, ის ყველას უყვარდა. დღიდან პარტიის ფეხის ადგმისა, ის სოციალისტ ფედერალისტების ბანაკშია და შეძლებისდაგვარად თავის წვლილიც შემოჰქონდა საერთო მუშაობაში. მოულოდნელმა და ჯერ კიდევ ნაადრევმა (50 წლისაც არ იქნებოდა) სიკვდილმა მაშინ, როდესაც ამობრწყინდა მზე მისი მიჯნური, საყვარელი საქართველოსი მეტად დაგვწყვიტა გული, მართალია ვასიკოს სიკვდილს არ შეუძრავს მთა და ბარი, საქართველოს უმისოდაც შეეძლება იცოცხლოს, მაგრამ უმწიკვლო ადამიანის, წვრილი ცოლშვილის პატრონისა და დაუღალავ სპეტაკ პარტიულ მუშაკის სიკვდილი მის ნაცნობ-მეგობარ და პარტიულ ამხანაგებისათვის მუდამ გულდამთუთქავი იქნება.

ვწუხვართ, რომ მის დასაფლავებას ვერ ვესწრებით, თანაგრძნობა ძაძა შემოსილს ვასიკოს ცოლშვილს.

ვარლამ იმერელი.

საყოველთაო სწავლება

(შემდეგი)

ჰოლანდია. 1806 წლამდის ჰოლანდიაში სახალხო განათლება კერძო ინიციატივისა და დამხმარე საზოგადოებათა საშუალებით სწარმოებდა. 1806 წლის კანონით ყველა სკოლები სახელმწიფოს და მთავრობის ინსპექციას გადაეცა, მასწავლებლებიც განთავისუფლდნენ რელიგიის სწავლებისაგან. სამღვდელოება ხედავდა, რომ ასეთი კანონით მისი ავტორიტეტი ეცემოდა და შეუდგა აგიტაციას, მოითხოვდენ „თავისუფალ განათლებას“. მართლაც 1848 წლის კონსტიტუციამ აღიარა თავისუფალი განათლების პრინციპები და ამით ხელი შეუწყო კონფესიონალურ სკოლების განვითარებას. საზოგადოების სკოლებში რელიგიის საკითხში სახელმწიფო ნეიტრალ გზას ადგა, მაგრამ 1857 წლის კანონმა ნება დართო სამღვდელოებას ბავშვების რელიგიურად აღზრდაზე ეზრუნა, რისთვისაც, გაკვეთილების შემდეგ სასკოლო შენობებიც დაეთმოთ.

სასწავლო საგნებია: წერა-კითხვა, არითმეტიკა, დასაწყისი გეომეტრიისა, დედა-ენა, გეოგრაფია, ისტორია ბუნების მეტყველება და გალობა.

საზოგადოებაზეა დამოკიდებული სწავლის ფასის შემოღება, თუ უფასო სწავლება. ყველა სკოლა, რომელსაც სახელმწიფო ან საზოგადოება ინახავს, საზოგადოებრივია. ყველა საზოგადოებას შეუძლიან დაარსოს ადგილობრივი კომისია, თემი ანუ საზოგადოება ვალდებულია იმდენი ფასიანი თუ უფასო სკოლა გახსნას, რომ ყველა ბავშვს, განურჩევლად სარწმუნოებისა შეეძლოს სწავლის მიღება. სწავლება არ არის სავალდებულო, მაგრამ თუ მშობლები ბავშვებს არ გზავნიან სკოლაში მოკლეპული იქნებიან დახმარებას სათემო კასიდან.

მთავრობის სკოლებში მასწავლებლებს მინისტრი ნიშნავს კონკურსის საშუალებით, საზოგადოების სკოლებში კი სათემო საბჭო. სახელმწიფო დახმარებას უწევს ყოველწლივ საზოგადოების სკოლებსაც მოსწავლეთა რიცხვის მიხედვით და ამას გარდა სახელმწიფო თავის თავზე იღებს სკოლის მთელი ხარჯის 25 პროც. რაც საჭირო იქნება შენობის ასაგებად, სკოლის შესახებად თუ შესაკეთებლად იმ სკოლებისა, სადაც სწავლის ფული წლიურად თითოეულის მოსწავლეზე 6 მ. 25 კ. არ აღემატება.

წლიური ჯამაგირის მინიმუმი დირექტორებისათვის 546 მანეთი და 312 მ. უბრალო მასწავლებლისა უფასო ბინით. საშუალო ჯამაგირი უდრის 546—780 მ. ვაჟებისათვის და 468—546 მ. ქალებისათვის.

შვეცია. დასაწყისი განათლების საქმეს შვეციაში მწირი მასწავლებლები აწარმოებდენ მოძრავი სკოლების საშუალებით. მეჩვიდმეტე საუკუნეში კარლოს XI ვალდებული გახადა ეკლესიის ყველა დაბალი მოსამსახურე—პონომრები ბავშვებისათვის წერა-კითხვა ესწავლებინათ, მანვე ჯვარის წერა აუკრძალა ყველას, ვისაც ლუტერის მოკლე კატეხიზმო არ ეცოდინებოდა; თუმცა ზოგიერთები ბევრს ცდილობდნენ დასაწყისი განათლების უკეთეს საფუძველზე დამყარებას, მაგრამ მისი განხორციელება 1842 წლამდის შეუძლებელი გახდა. 1842 წლის კანონით სახალხო განათლებას უფრო მკვიდრი საფუძველი ჩაედგა, შემდეგ ის კანონი შეავსეს 1882 წლის კანონით, რომლითაც დასაწყისი სახალხო განათლების საქმე სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების სამინისტროს გამგეობაში გადავიდა: ქალაქის ყოველ უბანს და სოფლის თითოეულს სამრევლოს ერთი დასაწყისი სკოლა მაინც უნდა შეენახა.

მიყრუებულს, მივარდნილს ადგილებში ნებადართული იყო მოძრავი სკოლების წარმოება. ყველა სახალხო სკოლა სამი ტიპის იყო: მოსამზადებელი, სახალხო დაბალი და სახალხო მაღალი სკოლა-მოზრდილთათვის. დაბალი სკოლა არსებობს უღარიბეს სოფელში ოთხის წლის კურსით, ნორმალური სკოლები ექვსის წლის კურსით.

მაღალი სკოლის მიზანია მშრომელი კლასის ნიჭიერ შვილებს, რომელთაც სურთ სწავლის განგრძობა, საშუალება მიეცეთ უნივერსიტეტში კურს დასრულებულ მასწავლებლების ხელმძღვანელობით უფრო ფართო განათლება და პრაქტიკული ცოდნა შეიძინონ.

სკოლების მეთვალყურეობა ჩაბარებული აქვს ინსპექტორებს, რომელთაც კაროლი ნიშნავს 5 წლით. მთელი შვეცია დაყოფილია სასკოლო ოლქებად, თითოეული ოლქი შეიცავს რამდენსამე საეკლესიო სამრევლოს. ყოველს სასკოლო ოლქშია სასკოლო კომისია, რომლის თავმჯდომარეა პასტორი, წევრებად არიან საზოგადოების მიერ ოთხი წლით არჩეული ოთხი პირი. სასკოლო კომისიას თვალყური უჭირავს თავისი რაიონის საზოგადოებისა და კერძო სკოლებზედაც, ადგენს მათთვის სასწავლო გეგმებს, საზოგადოებასთან შეთანხმებით, განსაზღვრავს სკოლაში მიბარების ასაკს, რომელი წლიდან უნდა დააწყებინონ სწავლა (არა უგვიანეს 7—9 წ.) და იგივე კომისია წარუდგინეს მთავრობას სკოლების წლიურს ანგარიშს. სასკოლო ასაკად მიღებულია 7—14 წლამდის. სკოლაში სავალდებულო სიარული 9 წლამდის. ღარიბ მშობელთა შვილებს აძლევენ ტანსაცმელს მრევლის საერთო შემოსავლიდან.

სასწავლო საგნებია: საღვთო სჯული, დედა-ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, გეოგრაფია, სამშობლო და საზოგადო ისტორია, ბუნებისმეტყველება, კალიგრაფია, ხატვა, გალობა, გიმნასტიკა, ბაღოსნობა, ტყის მოშენება და ხელგარჯილობა.

მასწავლებლის მინიმალი ჯამაგირია 314 მან. ამას გარდა მასწავლებლებს ეძლევათ უფასო ბინა, შეშა, საზრდო ერთი ძროხისა და შეძლებისდაგვარად ბაღიც. ზოგ ქალაქებში მასწავლებლებს ეძლევათ ჯამაგირად 1150 მანეთი უბინოდ.

ნორვეგია: სანამ ნორვეგიაში სახალხო განათლების საქმე სასულიერო წოდების ხელში იყო, მისი განვითარება შეფერხებული იყო. მხოლოდ მხნე ქადაგებით 1889 წელს ნორვეგიაში გამოსცეს კანონი, რომლის ძალითაც სახალხო განათლების მთელი საქმე ადგილობრივ საერო მთავრობას გადაეცა. ამ კანონის მიხედვით სწავლა-განათლების მთავარი გამგეა სახალხო განათლებისა და სასულიერო საქმეების მინისტრი. თითოეულს პროვინციაში სასკოლო საბჭოა, რომლის თავმჯდომარე და მისი ამხანაგი სახალხო განათლების დეპარტამენტის მიერ არიან დანიშნულნი. სამი წევრი და სკოლების მეთვალყურე არჩეულია ადმინისტრატიული საბჭოს მიერ. პროვინციას ჰყავს აგრეთვე თავის სასკოლო ადმინისტრაცია სამი წევრისაგან შემდგარი და პროვინციის საბჭოს (პრეფექტურის) მიერ არჩეულია. ქალაქის სკოლებს ქალაქის მუნიციპალური და კერძო სასკოლო საბჭო განაგებს. ამ საბჭოში შედის არა ნაკლებ სამის პარტიისა, რომელთაც ევროპაში ნიშნავს წარმომადგენელი მუნიციპალი საბჭოში, და რამდენიმე წევრი ქალაქის მცხოვრებთა მიერ არჩეული. ეს საბჭო ირჩევს სკოლების ინსპექტორს და ზრუნავს სკოლის ყოველგვარ საქმეზე. ქალაქის მასწავლებელს ეპისკოპოზები ნიშნავენ მის თანაშემწეებს—პრობსტები (მოძღვარი, ილუმენი, დეკანოზი), ერთი თემის ყველა სკოლებს სასკოლო დირექცია განაგებს, დირექციის წევრთა უმრავლესობას თემის ადმინისტრაცია ირჩევს, იქვე შედიან აგრეთვე პასტორგა ეპისკოპოზის დანიშვნით: ყველა მასწავლებლების მიერ არჩეული დეპუტატი და თემის გამგეობის საბჭოს თავმჯდომარე საკოლო დირექცია ნიშნავს მასწავლებლებს და წელიწადში ორჯელ ჰმართავს თავისი რაიონის მასწავლებელთა კრებებს. დასაწყისი სკოლა ორნაირია: დაბალი და მაღალი. თითოეულს თემში უნდა იყოს სკოლების საკმაო რიცხვი. სასოფლო თემები დაყოფილია სასკოლო ოლქებად, რომელშიც დასაწყისი სკოლა უთუოდ უნდა იყვეს. თითოეულს თემში უნდა იყვეს ერთი მაღალი სკოლა დაბალ სკოლაში კურს დასრულებულთათვის.

სასკოლო ასაკად მიღებულია ქალაქში $6^1/_2$, სოფლად $7^1/_2$—14 წლამდის. სკოლაში სიარული ქალაქის ყველა ბავშვებისათვის სავალდებულოა 7 წლიდან, სოფლის ბავშვებისათვის 9 წლიდან. სწავლება ყველგან უფასოა. სასკოლო შენობებს ნორვეგიაში განსაკუთრებულ შემოღებულის გეგმით აგებენ. სასწავლო პროგრამაშია: საღვთო სჯული, დედა ენა ისტორია, გეოგრაფია, არითმეტიკა, წერა, გალობა, გიმნასტიკა, ხელგარჯილობა, ბუნებისმეტყველება, ნორვეგიის კონსტიტუცია, ჰიგიენა, მიზანში სროლა. ქალაქის სკოლაში, გარდა ამისა, ასწავლიან გეომეტრიას და ხატვას. საშუალო წლიური ჯამაგირი მასწავლებლისა 538 მან.

ფინლიანდია. 1858 და 1866 წლების და სხვა დამატებითი კანონების მიხედვით ფილიანდიაში თითოეულმა სამრევლომ იმდენი სკოლა უნდა გახსნას, რომ ყველა ბავშვს 8—14 წლამდის შეეძლოს სწავლა. სკოლა აქაც ორნაირია დაბალი და მაღალი. პირველში იღებენ 7—14 წლამდის. დაბალ სკოლაში ასწავლიან: საღვთო სჯულს, კითხვას, წერას ანგარიშს, გეომეტრიული ფიგურების ძირითადს ცნობებს, ხატვას, გალობას, გიმნასტიკას. მაღალ სკოლაში ამსაგნებს ემატება: გეოგრაფია, ისტორია, გეომეტრია (ასპარეზისა და სივრცის გაზომვა) ბუნების მეტყველება, ჭრა-კერვა ქალებისა და უცხო ენები ვაჟებისათვის. ქალაქის სკოლების შესანახად ხაზინა იხდის მთელი ხარჯის 25%. სოფელში პირველ დაწყებითს წერა-კითხვას და ცნობებს რელიგიიდან ან ოჯახში ასწავლიან, ან მოძრავს, ან ჰუდმივს, პატარა სკოლებში რომელთა გახსნა მოწყობა ევალება ცალკე სამრევლოებს და არა მთელს საზოგადოებას. ეს პატარა სკოლები სამღვდელოების უწყებაშია, ვინც ამ სკოლებს ათავებს ან შინ კერძოდ მომზადებულა დამოკიდებულია მთელი თემის სურვილზე, სასკოლო ოლქზე, ან მცხოვრებთა ნებაყოფლობით კავშირზე, რომელთაც სახელმწიფო ხაზინიდან დახმარებაც ეძლევათ იმ პირობით, თუ დაცული იქნება შემოღებული წესები მასწავლებელთა ცენზისა და სასწავლო დროს სივრძის შესახებ და სხ. ასეთ სკოლებთან გარდა იმისა, რომ ყველგან მშვენიერი ბიბლიოთეკებია მოწყობილი, ორჯერ კვირაში იმართება დამატებითი კურსები; გაზაფხულზე და შემოდგომაზე პატარა ბავშვებსაც ავარჯიშებენ წერა-კითხვაში, იქვეა მოწყობილი მეცადინეობა კანდიდატებისა, რომლებიც წერა-კითხვის სკოლების მასწავლებლად ემზადებიან.

ფინლიანდიაში სოფლისა და ქალაქის მაღალი სკოლების მართვა გამგეობა ადგილობრივი დირექციის ხელშია. დირექციაში შედიან ექვსი წევრი საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული და თითო დეპუტატი დირექციის ყველა მასწავლებლების მიერ არჩეული. მთავრობის ინსპექტორს მხოლოდ სათათბირო ხმა აქვს; თავმჯდომარესა და მდივანს დირექციის წევრები თავიანთ შორის ირჩევენ.

ყველა სკოლების უმაღლესი გამგეობა მოქცეულია ცენტრალურ გამგეობაში, რომელსაც შეადგენენ მთავრობის მიერ დანიშნულნი პირნი. ყოველ სამი წლის შემდეგ იმართება სახალხო მასწავლებელთა კრებები, რისთვისაც დახმარება მასწავლებლებს ხაზინიდან ეძლევათ. სახალხო განათლების მოღვაწენი ფინლიანდიაში ყოველთვის ცდილობდნენ ცხოვრებაში საზოგადო სავალდებულო სწავლების კანონის გატარებას, ამას კიდეც შეეცადნენ 1893 წელს, მაგრამ სენატის მიერ დამზადებული პროექტი საზოგადო სავალდებულო სწავლებისა რუსეთის თვითმპყრობელის ალექსანდრე Ш მიერ განსახილველად ნებადართული არ იქმნა.

(შემდეგი იქნება)

ლ. ბოცვაძე.

საზიზღარი პროვოკაცია

სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის სენაკის სამაზრო კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია, რომელიც მიმართულია სოც.-ფედერალისტთა და სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიების წინააღმდეგ სჩანს,—ესერებს ვერ მოუნელებიათ ესფერების და ესდეკების ბლოკი საერობო არჩევნებში, და ალბად ამიტომ გაჰკივიან ასე მწარედ, რომ როგორმე აგონიას თავი დააღწიონ. მთელი პროკლამაცია თავიდან ბოლომდის შეიცავს განსაკუთრებითი ჩვენი და სოც.-დემოკრატების ლანძღვა-გინებას, გულ შემზარავ პროვოკაციას და დემაგოგიას. სოციალისტ-რევოლიუციონერების ქურქში გახვეული იგივე ბოლშევიკები რევოლიუციონურ მთავრობის და სოციალისტურ პარტიების წინააღმდეგ მხოლოდ იმას იმეორებენ, რასაც მუდამ ქადაგებდნენ და დღესაც ქადაგებენ „კომუნისტები“. მიუხედავად იმისა, რომ „ანარქო-სინდიკალისტებს“ კაი ხანია სამუდამოდ ჩამოშორდნენ რუსი ესერები, ომი გამოუცხადეს და მედგარ ოპოზიციაში ჩაუდგნენ, ქართველ სოც.-რევოლიუციონერებს მაინც არ გაუწყვეტიათ ბოლშევიკებთან კავშირი და ენერგიულად მათ სასარგებლოდ მოქმედობენ (პროკლამაცია არაფერს ამბობს ბოლშევიკებზე). პოლიტიკური თვალსაზრისით ქართველ სოც.-რევოლიუციონერებსა და ბოლშევიკებს შორის ის ფორმალური განსხვავებაა, რომ როცა პირველნი პარლამენტარული გზით ლამობენ მიზნის მიღწევას, მეორენი ამას ბლანკისტური ტაქტიკით ანხორციელებენ. მიზანი მათი დღეს ერთია, საშუალება კი სხვა და სხვა, მეტი არაფერი!

არ შეგვიძლიან აქ არ მოვიყვანოთ ერთი ადგილი ამ პროკლამაციიდან, სადაც ნათქვამია შემდეგი: „მენშევიკების პარტიამ სრულიად დაკარგა ხალხში ნდობა. მან იცის, რომ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს და ამისათვის ისინი შეუერთდენ ფედერალისტებს, რათა გაიმაგრონ თავისი შერყეული მდგომარეობა. მაგრამ თქვენ (იგულისხმეთ გლეხები მ.-ლი) იცით თუ ვინ არიან ფედერალისტები?

ეს ის პარტიაა, რომელსაც არასოდეს არ ჰქონია გარკვეული გზა (?) ნიკოლოზის დროს მეფეებს ეამბორებოდნენ (?) და ხალხს ზურგს აქცევდნენ (?), თავად-აზნაურებთან ერთად მუშა ხალხის საწინააღმდეგო კანონებს უჭერდნენ მხარს (?) ერთ დროს სოციალისტ-რევოლიუციონერებს მიყობოდნენ კუდში (?), შემდეგ ბოლშევიკებს და ბოლოს მენშევიკებს დაუდგნენ ლა-

რატია და ფედერალისტთა პარტია შეერთდა დღეს“... და სხ. და სხ.

აი ასეთი ეპიტეტებით გვამკობენ სოციალისტ-რევოლიუციონერები, რომლებსაც თავი ხალხის პარტიად მოაქვთ და ნამდვილად კი არიან ლებადევების და მათი ძმების პარტია... პარლამენტში ბურჟუაზიის და საზოგადოდ რეაქციონურ ელემენტების გამოლაშქრებამ რევოლიუციონურ დემოკრატიის წინააღმდეგ ნამდვილ, ორთოდაქსალურ სოციალისტებს საერთო პლატფორმა გამოაძებნია, აღუძრა მათ ინსტინქტი გაერთიანებისა საერთო საქმეებში და შეთანხმდნენ კიდეც, და ეს არა მარტო ტფილისში, არამედ პროვინციებშიაც. სოც.-რევოლიუციონერები განზე დგანან. რატომ? თუ ჭეშმარიტი დემოკრატები იყვნენ, რატომ ჩვენთან, სოციალისტებთან არ არიან? ან დღეს რამ აღუძრა მათ მადასიმხნევის და გულადობისა, რომ ასე „გვემუქრებიან“ არა მოქალაქენო! ჭიანჭველა რომ ფრთებს შეისხამს, ჩიტი დაიჭერს სწორედ ასე დაემართება ჩვენს ესერებსაც, თუ კვლავ არ მოძებნეს თავისი ნორმალური კალაპოტი. მათ არავითარი ღვაწლი არ მიუძღვით ქართველი ერის წინაშე და ტყუილად ყალბი თამასუქებით ნუ ყოყოჩობენ. სამეგრელოს დემოკრატია თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას ღირსეულად შეასრულებს: არც ერთ ხმას არ მისცემს სოც.-რევოლიუციონერთა სიას, № მესამეს.

გ. მუშიშვილი.

სიძვირე და მუშა მოხელეთა მდგომარეობა

დიახ! საზოგადოება თითქმის შეეჩვია ამ საარაკო სიძვირეს, მოიღალა ბრძოლით და ერთიანად დანებდა სპეკულიანტთა გაუმაძღარ მადას.

სპეკულიაცია, რომელიც ნორმად გარდაიქცა, საშინელ აღელვებას ჰბადებს არა მარტო მუშა ხალხში, არამედ ყველა მცხოვრებლებში, გარდა თვით მოვაჭრეებისა. ყოვლად შეიძლებელი გახდა ცხოვრება, როცა ყოველი ნივთის ფასი დღე და დღე მატულობს. სწორედ წარმოუდგენელ მდგომარეობაში ჩავარდა ხალხი, შეტადრე შუათანა კლასი, ვინც ჯამაგირით ცხოვრობს, ან ხელფასის ამარა არის დარჩენილი. ერთი სიტყვით ინტელიგენცია, რომელიც მსახურობს ჩვენ უწყება დაწესებულებაში, რომელიც თავის მარჯვენით და ჭკუა გონებით დღეს აწარმოებს ყოველივე საქმეს ახალი რესპუბლიკისას, წელიწადი-თორმეტი თვე ოც ან ოცდახუთ თუმანს შეჰყურებს, მთელი თვის განმავლობაში, მან ამ ნაფასურით თავი უნდა გამოიკვებოს და ოჯახსაც გაუძლვეს, მერე დღევანდელ მომენტში, ხაცა გირვანქა პური ხუთ მანეთად ფასობს. მას ეს ჯამაგირი მარტო ცარიელი პურის საჭმელადაც კი არ ეყოფა, არა თუ სხვა რამის სასყიდლად.

მუშა მოხელე, თითქმის მთლად გატყავდა, პირდაპირ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება, რაც კი რამ ებადა საბრალოს, ტანისამოსი თუ ოთახის მოწყობილობა, მთლად სპეკულიანტების ხელში გადაიდა; ყოველ დღეს მას გამოაქვს უკანასკნელი ნივთი და სულ იაფად ჰყიდის, რათა მშიერს და ღონე მიხდილს სული არ ამოსძვრეს, თვითონ კი ერთი ხელი ტანისამოსის ამარა დარჩენილი დაიარება სამსახურში და ეწევა შრომის უღელს, მერე ახლა როდესაც სუსხიანი ზამთარი ცხვირ წინ გვიდევს, რა მოელის ასე ტიტველ-შიშველა დარჩენილ მუშა მოხელეს, ხომ სიცივისგან გაფიჩხდება და სული ამოსძვრება, როდესაც მას არავითარი სახსარი არა აქვს, რომ თბილი ტანისამოსი შეიძინოს, ან ოთახი გაითბოს. რამდენი მოხელეა დღეს ზოგიერთ დაწესებულებაში, რომელიც ამ უკანასკნელ ხანში მიწიდან ამოღებულ ჩონჩხს დაემსგავსა. მკითხველმა თვითონ წარმოიდგინოს, თუ რა ენერგიით უნდა იმუშაოს ამ მუცელ ცარიელმა მუშა-მოხელემ. ესეც ნუ დაგვავიწყდება, რომ შემოდგომა მოწეულია, სკოლები გაიხსნება და ბავშვები სასწავლებელში სიარულს დაიწყებენ.

მაგრამ, რით და როგორ!

დაუყონებლივ უნდა იქნეს მიღებული ყოველივე სასტიკი ზომები აშვებული ვაჭრების წინააღმდეგ და რაც შეიძლება მალე და ჩქარა უნდა მოეღოს ბოლო ამ სიძვირეს სახელმწიფოებრივი გზით, უნდა იქმნას მიღებული ენერგიული ზომები მუშა მოხელეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რათა მათაც შეეძლოთ ნორმალური ცხოვრება, რომ სავსე ენერგიით მოჰკიდონ ხელი ყოველივე საქმეს.

მაშინ უფრო მეტის სიფხიზლით და სიყვარულით მოეკიდება თავის საქმეს,

ცავს ყოველივე საზოგადოების მოთხოვნილებას საყვარელ სამშობლოს წინაშე.

არჩილ კორინთელი.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! გაზეთ „სახალხო საქმის“ № 241-ში მოთავსებული იყო ჩემი წერილი ახალსენაკის უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლის დროებითი გამგის მიხეილ თათარიშვილის საწინააღმდეგოდ. იმ ჩემ მეტად რბილ წერილს ძალიან გაუწიწმატებია ბ. თათარიშვილი. განუზრახავს გამომიწვიოს სამედიატორო სასამართლოში. მე დიდი სიამოვნებით ვეთანხმები მის წინადადებას, მაგრამ ჩვენი საქმე გაარჩიოს არა სამედიატორო სასამართლომ, არამედ ახალ სენაკის მასწავლებელთა კავშირის ფილიალურ განყოფილების გამგეობამ, რომლის კომპეტენციაში შედის ყოველი მასწავლებლის საქმის გარჩევა, რადგანაც მგონი ჯერ-ჯერობით იქ არ არსებობს მასწავლებელთა საამხანაგო სასამართლო. მე ვთხოვ ზემოხსენებულ გამგეობას მიხეილ თათარიშვილის მოქმედების გამოსარკვევად დაიბაროს მასწავლებლები მ. არისტარხ კალანდარიშვილი, მ. არეთა სახოკია, ვერა ცომაია, კოლია კალანდარიშვილი (ენების მასწავლებელი) და დაწვრილებით გამოჰკითხოს მათ: 1) იყო თუ არა შემთხვევა, როცა მ. თათარიშვილი მათ ჯამაგირებს არ ურიგებდა თავის დროზე? 2) როცა ხაზინა აძლევდა მასწავლებლებს ყოველ კვირეულად მხოლოდ 50 მან. ჰქონდა თუ არა მაშინ თათარიშვილს ყველა მასწავლებლების ჯამაგირი შეტანილი მარტო თავის სახაზინო წიგნაკში და დასპირდა თუ არა მასწავლებლებს (უმ. პ. დ. სასწ.) ბევრი ხვეწნა და დავა, რათა მას (თათარიშვილს) მასწავლებლებისათვის თავიანთი ჯამაგირები გადაეტანა მათს სახაზინო წიგნაკში, რათა ამით მათ მისცემოდა საშუალება მიეღოთ ყოველ კვირეულად 50 მან. 3) ეპირა თუ არა ბ. თათარიშვილს თავის სკოლაში რამოდენიმე თანამდებობა და დაადგინა თუ არ საპედაგოგიო საბჭომ, არეთა სახოკიასათვის დაეთმო საქმის მწარმოებლის ადგილი და დაემორჩილა თუ არა ის ამ დადგენილებას? 4) ჰქონდა თუ არა მ. არისტარხ კალანდარიშვილს წერილობითი საჩივარი შეტანილი მ. თათარიშვილის საწინააღმდეგოდ სენაკის ფილიალურ (მასწ. კ) გან. გამგეობაში ჯამაგირის თაობაზე? რაც შეეხება თქმას: მახინაციებით იშოვნა ადგილი მეთქი, ამის დამამტკიცებელი არის შემდეგი) 1) მ. თათარიშვილი ძალიან სძულდა ყოფილ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს ვიშნევსკის და მას აქეთ რაც თათარიშვილმა ახალ-სენაკში 1815 წ. მასწავლებელთა კურსებზე მისცა ორი სანიმუშო გაკვეთილი და ორივე ღირსეულადაც არ იყო ცნობილი გარჩევისა, (იმდენად უვარგისი იყო), მას შემდეგ უფრო გამწვავდა დამოკიდებულება ვიშნევსკის და თათარიშვილის შორის; მიუხედავად ამისა იგივე ვიშნევსკი აძლევს მას ადგილს უმ. პირვ დაწ. სასწავლებელში, ყველასათვის აშკარაა, აქ სად მარხია ძაღლის თავი და რა უყვარდა „ცნობილი“ ვიშნევსკის, 2) 1917 წ. შემოდგომის დამლევს, როცა სენაკის ქალაქის სასკოლო საბჭოს უნდოდა უმაღ. პირ. დაწ. სასწავლებელში გამგის არჩევა და თქვენ კი (თათარიშვილს) სახეშიც არ გყავდით, ერთი განგაში ასტეხეთ და გაბრაზებული კილოთი მიმართეთ კრებას: სხვას რო ეძებთ, მე აგერ არა ვარო; რატომ მე არ მარჩევთო; მე ბევრი ნაშრომი ვარო და სხვა. სამწუხაროდ თქვენი შრომის თვალსაჩინო ნაყოფი არავის უნახავს.

მე ამით ვათავებ ჩემს წერილს და ვთხოვ ზემო დასახელებულ მოწმეებს, იქონიონ იმდენი მოქალაქეობრიობა და გამბედაობა, რომ დაწვრილებით გააცნონ ის გამგეობა მ. თათარიშვილის მოქმედობას რის შემდეგ ვთხოვ ამ გამგეობამ მოწმეების ჩვენება და თავის დასკვნა გამოაქვეყნოს ამავე გაზეთში და თუ რამე ბრალდებას გამოიტანს ჩემს წინააღმდეგ, მაშინ დიდი სიამოვნებით დავემორჩილები მას და მაშინ გამოვამჟღავნებ ჩემს ვინაობას, მანამდის კი ჩემს პიროვნებას არ ვამჟღავნებ.

რიონის პირელი.

P. S. ჩემდა დამოკიდებელი მიზეზის გამო პასუხის მიცემა დამიგვიანდა.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილ თ 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ზოეს“ პირდაპირ 150.

ქუთაისში მიხეილის ქუჩ
ქირურგიული და ქალთა სნეულების
ავადმყოფ
დასაწოლ ავადმყოფს იღებენ ყოველ დღ
84

ექიმი ი. კ. აბაკელია შინაგანი ავ
მყოფობა. განსაკუთრებით ა
მყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებ
ს სუნთქვისა ფილტვების აბკისა, გულ
და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნო
და წამლობა ყოველი გვარი ჰლექ
სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავ
მყოფების მიღება ყოველ დღე გა
კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პ
რე დიდის ქუჩა № 26. 1270

ექიმი დ. შარაშანიძე იღებს ყო
დღე შინაგან და ბავშვთა სნ
ლებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს.,
ღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქ
№ 7. 2

ექიმი ვ. მუხხელიშვილი იღებს ა
მყოფთ დილის 12—2 საათ.
რლანოვის ქ. № 6.

ექიმი კბილისა კონსტანტინე არ
ზიანი განაახლა ავადმყოფ
მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის
ჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეც
ლურად მალარიით (ციება)
მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლ
ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქა
ბით და სხვ. შინაგან სნეულებებით ავ
მყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს.
ქტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მო
ვის ქ. № 11.

ექიმი კ. ტყეშელაშვილი ლებულ
ავადმყოფებს ვენერიული, ს
რდე და სასქესო მილის სნეულებანი, ს
ლისი (606 და 914) შეშხაპუნება). ს
მოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გ
კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილ
პროსპექტი № 167.

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი ი
შინაგან და ბავშვთა სნეულ
ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გ
საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის
№ 41. ტელეფ. 14—09.

ექიმი პავლე არდაზიანი დაბრუ
იღებს ბავშვთა და შინაგან
მყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—
მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს
გან და ბავშვთა სნეულებიან
მყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 ს
დე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**კერძო მიხეილის სამკურნალ
მუდმივი ლოგინებით.**
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დ
10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი,

ექიმი ი. დ. ჯაფარიძე შინა
ყურის, ყელის და ცხვირის
ულებანი ავადმყოფებს მიიღებს დ
11—1 ს საღამოს 5—7 ს მადათოვ
№ 7 ტელეფონი 17-49.

ექიმი ე. ლ. შალამბერიძე იღებ
ბებიო და საშვილოსნოს
მყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი
როგრადის ქ. № 7.

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის
ვერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილ**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე
შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბ
ბისა, საბებიო და საშვილოსნოს სნ
ბანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმბ
აფთიაქის გვერდით.

**თვალის სამკურნალო მუდმივი
ლით ექიმ დონხინისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაშ
სტენტად იყო ვენასა და პარიზში თ
კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი
ბიან დილის 9—1 საათამდე და ს
4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141
ლოს კინო-თეატრის მახლობლად)
და საოპერაციო ავადმყოფები სრულ
სიონითაც მიიღებიან.

**ექიმ ნავასარდიანის პირველი
სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
დღე (გარდა კვირისა) დილით
„606“ და „914“ 11—12
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს
რგიული და ვენერიული (სიფილის.
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალ
საშარდისა.
ბ. გ. აგასაროვი: $9^1/_2$—2 ს.
შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერი
მყოფებს $11^1/_2$ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს.
ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტისიანი—9—11
ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი: 1—
ნაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალ
მყოფობანი და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმო
უფასოდ, კონსულტაციები და ოპე
მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი